

დანართი №1



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა  
საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

08-10.07.2023

11.10.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	20
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	25
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	27
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	33

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჟუჟა ხაჭაპურიძე - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

**I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	-
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სურსათის გადამუშავება: 0721
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 01/04/2019, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N89
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა* ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა 2023 წლის 5 მაისს. საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წლის 1 აპრილს (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N89). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, დათქმით 6 თვის თავზე ანგარიშის წარდგენით. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ორი რჩევა საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ, კერძოდ:

- ✓ უცხოურენოვანი (ინგლისური) ლიტერატურის შეთავაზება სასწავლო კურსებში;
- ✓ სასწავლო კურსების *გამოყენებითი მექანიკა* და *ელექტრონიკა* სტატუსის (სავალდებულოდან არჩევითში), რომელიც ჩანაცვლდება სასწავლო კურსებით დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით;

აკრედიტაციის ექსპერტებმა გასცეს ასევე კონკრეტული რჩევები, რომელიც შეეხებოდა სტუდენტების აქტიურ ჩართულობას წარმოების პროცესში; ასევე მითითებული იყო სასწავლო კურსში *კვების მრეწველობის პროცესები და მოწყობილობები* საკითხების რედაქტირება. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ ძალაში დატოვა ექსპერტების შეფასება მეორე სტანდარტისათვის, რომელსაც დაუფიქსირდა მეორე სტანდარტისთვის *მეტწილად შესაბამისობაში*. ამრიგად, გაცემული იყო 2 რეკომენდაცია და 2 რჩევა, რომელთაგან დაწესებულებამ ნაწილობრივ უზრუნველყო რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულება.

საგანმანათლებლო პროგრამამ დათქმულ დროში წარადგინა ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა განვითარდა და შეიცვალა ეტაპობრივად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების საფუძველზე. მათ შორის უნდა დასახელდეს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებში მიმდინარე ცვლილების საფუძველზე შემდგომი განვითარება. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა უწინარესად მოვიდა თანხვედრაში კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ამდენად, ის თავისი შინაარსითა და დარგობრივი კონცეფციით ქმნის საფუძველს ამავე მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ინსტიტუციის ფარგლებშივე.

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ტრადიციიდან გამომდინარე, ცვლილება არ განუცდია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, ამისგან განსხვავებით მოხდა სწავლის შედეგების რედაქტირება, კერძოდ, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტებიდან გამომდინარე სწავლის შედეგების აღმწერი 6 კომპონენტის სისტემა ტრანსფორმირდა 3-კომპონენტისად, რაც დაწესებულებამ წარადგინა ჯერ კიდევ საგანმანათლებლო პროგრამის სამწლიანი შუალედური მონიტორინგის ფარგლებში. თუმცა აქვე უნდა განიმარტოს, რომ სწავლის შედეგების აღმწერი რუბრიკები ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში არ არის წარმოდგენილი გაზომვადი ნიშნულებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურამ ეტაპობრივად განიცადა ცვლილებები:

- არჩევით სასწავლო კურსებს, მათი დარგობრივი კომპეტენციებიდან გამომდინარე, შეეცვალათ სასწავლო სემესტრები;
- დარგობრივი კომპეტენციის შემავსებელ ცალკეულ სასწავლო კურსებს შეეცვალათ სტატუსი და მათი ასახვა მოხდა სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში.

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ზემოხსენებულ ცვლილებები არ იყო ხელის შემშლელი პირობა მისანიჭებელი კვალიფიკაციის სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მიზნებით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

შესაბამისობის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში, თანმხლები განახლებული სწავლის შედეგების შეფასების მატრიცებით, კერძოდ, არსებით ცვლილებს დაექვემდებარა სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, განსაზღვრულია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და წარმოდგენილია ასევე სწავლის შედეგების კომპეტენციები.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საქსპერტო შეფასების მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში, გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (8 საქაღალდე). წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობასთან მიმართებით.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 5 მაისის ბრძანების (MES 8 23 0000504685) თანახმად (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ).

- თვითშეფასების ანგარიშის მონიტორინგის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო ონლაინ შეხვედრა შედგა 2023 წლის 8 მაისს.
- ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა. ამ მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები, პროგრამის დანართები და თვითშეფასების ანგარიში, რომელიც აგებულია აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.
- ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიშზე, პროგრამის კურიკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით იმსჯელა პროგრამის შესახებ, განსაზღვრა ყველა ის აუცილებელი საკითხი, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებთან

შესაბამისობის, ასევე დარგის სპეციფიკისა და სპეციალისტის წინაშე წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, გაანალიზა პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისობა განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციასთან, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლების მეთოდები, სალექციო და პრაქტიკული მუშაობის საათების შესაბამისობა სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და სხვა.

○ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა:**

არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა მხოლოდ 1, მე-2 და მე-4 სტანდარტები. თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე წინამდებარე სტანდარტების შეფასებებია:

**პირველი სტანდარტი:** მეტწილი შესაბამისობა (სრულად შეფასდა კომპონენტები: 1.1, 1.2, 1.4, ხოლო მეტწილად: 1.3 და 1.5.);

**მეორე სტანდარტი:** სრული შესაბამისობა (სრულად შეფასდა კომპონენტები: 2.1, 2.3, 2.4 ხოლო მეტწილად: 2.2.);

**მეოთხე სტანდარტი:** სრული შესაბამისობა (სრულად შეფასდა კომპონენტები: 4.1, 4.3, ხოლო მეტწილად: 4.4; არსებული მოცემულობიდან გამომდინარე არ ფასდება: 4.2 და 4.5.);

▪ **რეკომენდაციები**

**კომპონენტი 1.3**

რეკომენდებულია, დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა;

**კომპონენტი 1.5**

- პროგრამის განვითარებისა და დარგში თანამედროვე ინფორმაციის დაუფლებისათვის, სასწავლო კურსებში დაემატოს ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა;
- დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსისათვის „ბიოლოგია“;
- დაზუსტდეს დარგობრივი ტერმინოლოგია და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ტერმინები „საკვები“ და „სურსათი“, „საკვები პროდუქტი“ და „სასურსათო პროდუქტი“;
- სასწავლო კურსი „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ გადატანილ იქნას არჩევით ბლოკში.

**კომპონენტი 2.2**

- დაზუსტდეს სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი, შედეგი და ხანგრძლივობა შემდეგი პრაქტიკის ობიექტებთან: შპს იფელი, შპს ქუთაისი, ი/მ დავით ლელაძის ღვინის მარანი, შპს ლიდერი, შპს ნიკორა, შპს ონიმა, შპს რერო, შპს იბერია;
- შპს იბერია 2012 ხელშეკრულებაზე მნიშვნელოვანია დაფიქსირდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

**კომპონენტი 4.4**

- რეკომენდებულია არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი მიმდინარე ცვლილებები აისახოს ან თვითშეფასების ანგარიშის დესკრიფციულ ნაწილში ან კონკრეტულად წარმოდგენილ იქნას მტკიცებულებების სახით;
- განახლდეს პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან მემორანდუმები, რათა განახლებულ ფორმატში დადგინდეს პრაქტიკის ობიექტებზე სასწავლო პროცესებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**კომპონენტი 1.1**

სასურველია პროგრამის მიზნების განსაზღვრისას დებულებები ჩამოყალიბდეს ზუსტად და შესაბამისი საფეხურისთვის მისადაგებული ლექსიკით.

**კომპონენტი 1.3**

სასურველია ვიზუალურ გრაფიკულ მატრიცას ცალკეული ანალიზური ნაწილის შემდგომ დაერთოს ვერბალური განმარტებითი ნაწილი.

#### **კომპონენტი 1.5**

- სასწავლო კურსში „საკვები პროდუქტების შენახვა და ტრანსპორტირება“ - საინტერესო იქნებოდა თანამედროვე შენახვის მეთოდების გაცნობა, ტრანსპორტირების ტექნიკური რეგლამენტის გაცნობასთან ერთად, სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გაცნობა, ასევე საინტერესო იქნებოდა ვარგისიანობის ვადის გამოთვლის მეთოდების;
- სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ მიეთითოს შუალედური გამოცდისა და დასკვნითი შეფასების საკონტაქტო საათების რაოდენობა, გადაიხედოს/ჩასწორდეს საკონტაქტო საათები და ამის მიხედვით შეფასდეს საგნის კრედიტების რაოდენობა.

#### **კომპონენტი 2.2**

- სასურველია სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკის“ განმარტებითი და შინაარსობრივი ნაწილი მოვიდეს თანხვედრაში.

#### **კომპონენტი 2.4**

- სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ სტუდენტთა საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული საკითხის ბუნდოვანება, რეკომენდებულია ტერმინი „დასკვნითი გამოცდა“ ჩანაცვლდეს ტერმინით „დასკვნითი შეფასება“, რომლის შეფასების დროსაც გათვალისწინებული იქნება პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია და სასწავლო პრაქტიკის დღიური;
- შუალედური გამოცდა და აქტივობა, ორივე შუალედური შეფასების კომპონენტებია. საგნებში „დარგის მოწყობილობები“ „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ სილაბუსებში, შეფასების კომპონენტებში და კალენდარულ გეგმაში ტერმინი შუალედური შეფასება ჩანაცვლდეს ტერმინით „შუალედური გამოცდა“ - იქ, სადაც ტერმინი შუალედურ გამოცდას მოისაზრებს.

#### **კომპონენტი 4.3**

- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (CV) შეფასების დროს წარმოდგენილი იყოს განახლებულ ფორმატში მტკიცებულების მიზნით.

#### **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>**

##### **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 20 სექტემბრის კორესპონდენციის (MES 8 23 0001193644) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული წერილი და მასზე დართული მტკიცებულებები.

დაწესებულების არგუმენტირებული წერილის გაცნობის შემდეგ ექსპერტმა ჯგუფმა უცვლელი დატოვა რეკომენდაცია კომპონენტისათვის 1.3, გამომდინარე იქიდან, რომ საკუთრივ დაწესებულებამაც მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი რუკების გადახედვის და გაუმჯობესების შესახებ.

რეკომენდაცია კომპონენტისათვის 1.5.

დაწესებულებამ დამოთქვა მოსაზრება, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებში შეცვლილია ლიტერატურა, რაც წარდგენილია მტკიცებულებითაც, თუმცა აღნიშნული ცვლილება არ არის საკმარისი იმდენად, რამდენადაც ცვლილება განხორციელდა სპეციალობის არჩევით

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის



ზოგიერთ სასწავლო კურსში და არა ძირითად, დარგის კომპეტენციის მიმცემ სავალდებულო სასწავლო კურსებში.

2023 წლის 14 ივნისის კორესპონდენციაში ექსპერტთა ჯგუფმა დაზუსტებით გამოითხოვა ზემოხსენებული სასწავლო კურსების სილაბუსები (იხილეთ კრესპონდენცია, რომელიც გაეგზავმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს). ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა საშუალება მიეღო დაწესებულებიდან გამოთხოვილი დოკუმენტები და შეედარებინა სასწავლო კურსებში განხორციელებული ცვლილებები, რაზეც დაწესებულებაც აპელირებს. არგუმენტირებული პასუხის მიღებისთანავე დარგობრივ ექსპერტს გადაეცა სასწავლო კურსის ძველი სილაბუსებიც.

რეკომენდაცია, რომელიც გაიცა კომპონენტისთვის 1.5, ექსპერტთა ჯგუფი ითხოვდა სასწავლო კურსის „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ გადასვლას არჩევით ბლოკში. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ აღნიშნული საგანი დაბრუნდა სპეციალობის სავალდებულო საგნებში, რადგან 2019 წლის 10 აპრილს დამტკიცებული „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით პროგრამის დეტალური სფერო გახდა 0721 - სურსათის გადამამუშავება, რომელიც ეკუთვნის ვიწრო სფეროს - 072-წარმოება და გადამამუშავება და ფართო სფეროს - 07-ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა. მიუხედავად ამისა, სასწავლო კურსი შინაარსობრივად საუნივერსიტეტო სასწავლო კურსს (მიმართულების ზოგადი განათლების საგანს) უფრო შეესაბამება, ვიდრე სპეციალობის სავალდებულო კურსს. აღნიშნულ სასწავლო კურსში რომ ხდებოდეს ინჟინრული პრინციპების მორგება სურსათის წარმოება/გადამამუშავებაზე, მაგალითად ისწავლებოდეს თერმოდინამიკის საფუძვლები, სასურსათო მრეწველობაში გამოყენებული თბოგადაცემის საფუძვლები, მაშინ ის მართლაც უნდა იყოს სპეციალობის სავალდებულო კურსის ნაწილი. თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსი ზოგად ინფორმაციულია. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება არგუმენტირებულ ნაწილს და რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.

დანართების დამატებით შესწავლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა რომ სასწავლო კურსის სილაბუსში დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობა, შესაბამისად რეკომენდაცია გადადის რჩევის ნაწილში და ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სასურველია დაკორექტირდეს ტექნიკური ხარვეზი (კერძოდ, უნდა შესწორდეს საკონტაქტო კვირეული საათები შესაბამის ველებში). წინამდებარე რჩევა შეეხება სასწავლო კურსებს: „მარცვლის გადამამუშავების პროდუქტების ტექნოლოგია“, რმის გადამამუშავების ტექნოლოგია“.

რეკომენდაციაში, რომელიც გაიცა კომპონენტისთვის 1.5, ექსპერტთა ჯგუფი ითხოვდა სავალდებულო ლიტერატურის დაზუსტებას სასწავლო კურსისათვის „ბიოლოგია“ და საკონტაქტო საათების კორექციას სასწავლო კურსისათვის „საწარმოო პრაქტიკა“. დაწესებულების არგუმენტირებულ წერილში აღნიშნულია, რომ ცვლილება განხორციელდა ა.წ. 14 ივლისს. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე ორივე ცვლილება განხორციელებულია დასკვნის პროექტის დაწესებულებისათვის ჩაბარების შემდგომ, რაც უთუოდ მისასაღმებელია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი საკითხის გადაწყვეტას მიანდობს აკრედიტაციის საბჭოს საჯარო განხილვის პროცესში, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფი აკრედიტაციის დებულების თანახმად ვეღარ ითვალისწინებს ვიზიტის/შეფასების შემდგომ განხორციელებულ ფუნდამენტურ ცვლილებებს, წარმოდგენილს არგუმენტირებული წერილის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ცვლილებას, თუმცა მოცემულ ეტაპზე ვერ ითვალისწინებს მას.

ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ ტერმინების განმარტებას კლასიფიკატორში, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კლასიფიკატორში ტერმინი სწორად არის მოხსენიებული, რაც ჩარჩოს განმარტებით ნაწილში, განსხვავებულადაა წარმოდგენილი. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტი წარმოადგენს გარკვეულწილად თარგმნილ დოკუმენტს, ფიქსირდება ტერმინოლოგიის უზუსტობა, შესაბამისად რეკომენდაცია რჩება ძალაში.

რეკომენდაცია კომპონენტისათვის 2.2 და 4.4 - აკრედიტაციის ახალი სტანდარტების თანახმად, დაწესებულება რომელიც ხელს აწერს თანამშრომლობის ხელშეკრულებას უმაღლეს სასწავლებელთან, ვალდებულია დოკუმენტურად განსაზღვროს პრაქტიკის მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა. ნებისმიერ იურიდიულ დოკუმენტს უნდა ჰქონდეს მოქმედების ვადა, სხვა შემთხვევაში დოკუმენტის დასასრულს ჩნდება ჩანაწერი უვადო თანამშრომლობის შესახებ. შესაბამისად, არგუმენტი არ იქნა გაზიარებული.

რეკომენდაცია კომპონენტისთვის 2.2 ითვალისწინებდა საწარმოო პრაქტიკის პროცესში სტუდენტების უშუალო მონაწილეობას.

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება აღნიშნავს, რომ სილაბუსში (სწავლის მეთოდები) ნათლად იკითხება საწარმოო პრაქტიკის დროს საწარმოო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის აუცილებლობა. სასწავლო კურსის განმარტებით ნაწილში სტუდენტი ჩართულია პრაქტიკულ მუშაობაში, მაგრამ საწარმოო პრაქტიკის შინაარსში სასურველია ასევე გამოიკვეთოს რომ სტუდენტი პრაქტიკულად ჩართულია პროცესებში და არ არის დამკვირვებელი პროცესებზე. მაგალითისთვის, წარმოგიდგინოთ ციტირებას პრაქტიკის შინაარსის ნაწილიდან: „ლუდის საწარმოს მართვის სქემისა და წარმოების მუშაობის ორგანიზაციის გაცნობა, ძირითადი ასორტიმენტის. საწარმოში ნედლეულის მიღებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის, საწარმოს ლაბორატორიის მუშაობის გაცნობა“. ასეა აღწერილი სხვადასხვა საწარმოში პრაქტიკის შინაარსი დანარჩენი კვირების განმავლობაში. სასურველია სილაბუსის განმარტებითი და შინაარსობრივი ნაწილი მოვიდეს თანხვედრაში - აღნიშნული რეკომენდაცია, გადადის რჩევების ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით.

4.4. რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების მიერ ანგარიშში მოცემულ აღწერას, რომ პროგრამის მატერიალური მონაცემები აკრედიტაციიდან დღემდე განახლებულია. ასეთ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ადგილზე შეფასება (დაწესებულებაში) საჭიროა თვითშეფასების ანგარიშში ან დეტალურად აღიწეროს მატერიალური რესურსების განახლებასთან დაკავშირებული მონაცემები ან წინამდებარე ჩანაწერს დაერთოს მტკიცებულების სახით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინფორმაცია მატერიალური ბაზის განახლების შესახებ.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ მიზანია ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ზოგად საინჟინრო მეცნიერებების ფუნდამენტური თეორიებისა და პრინციპების საფუძველზე, მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი სურსათის ტექნოლოგიებისა და უვნებლობის უზრუნველყოფის სფეროს შესაბამისი ცოდნით და დარგობრივი კომპეტენციებით, რომელიც ორიენტირებული იქნება პრაქტიკულ საქმიანობასა და/ან სწავლის გაგრძელებაზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე.

პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და სრულ თანხვედრაშია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან - უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები; წვლილი შეიტანოს რეგიონისა და ქვეყნის განვითარებაში.

ძირითადი მიზნის მიღწევისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები, კერძოდ,

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება ეძლევა მიიღოს ფართო ცოდნა: *კონკრეტულ საბაზო ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ზოგადსაინჟინრო მიმართულებების სასწავლო კურსებში (როგორცაა: წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, მათემატიკური ანალიზი/ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური, ფიზ- კოლოიდური ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია//საინჟინრო და სხვა), რომელიც შემდგომში საფუძველი გახდება დარგობრივი კომპეტენციების დაუფლებისათვის;*
- დარგობრივი სფეროს კონკრეტული მიმართულებების ფართო სპექტრით ათვისების მიზნით: *სასურსათო პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის კონკრეტული მახასიათებლების, მათი კლასიფიკაციის, წარმოების ტექნოლოგიური სქემებისა და პარამეტრების, მიღებული პროდუქტის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფის გზებისა და მეთოდების, სასურსათო პროდუქტების ზემოქმედების თავისებურებების შესახებ კომპეტენციების შექმნა;*
- დარგობრივ სფეროში ქვეყანასა და რეგიონში ფაქტობრივი ვითარების შესახებ ფართო სპექტრის ინფორმაციის მიწოდება და საკითხის გადაწყვეტის ტექნიკების შექმნა;
- დარგობრივი ინფორმაციის მოძიების, გადაამუშავებისა და კრიტიკული ანალიზის უნარების გამომუშავება.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ დარგობრივი კომპეტენციებით დასახული პროგრამული

მიზნები მიღწევადია, რაც გულისხმობს, რომ შედეგების ამოკითხვა შესაძლებელია მიზნებში, ინტერპრეტირების საშუალებით. თუმცა სასურველია ფართო განმარტება, როგორცაა **მაღალი დონის ცოდნა** დაკორექტირდეს შესაბამისი საფეხურის აღმწერი ლექსიკით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის მიზნების განსაზღვრისას დებულებები ჩამოყალიბდეს ზუსტად და შესაბამისი საფეხურისთვის მისადაგებული ლექსიკით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მქონე პირის მომზადებას სფეროს ცოდნითა და დარგობრივი კომპეტენციებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები 6-კომპონენტიანი სისტემიდან გადაყვანილ იქნა 3-კომპონენტიანზე, ასევე სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში, აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის  
სწავლის  
შედეგები



### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს, არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა არამხოლოდ პროგრამის ცალკეული თემატური ველის მოდიფიცირებული ვერსია (მაგ., როგორცაა სწავლის შედეგები), არამედ ანგარიშზე თანდართული სწავლის შედეგების რუკა. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედი იყო, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მოითხოვა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და ანალიზი (უკანასკნელ პერიოდში მომზადებული). დაწესებულებიდან მოწოდებულ იქნა სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის შედეგები. ექსპერტებს არ მიუღიათ სწავლის შეფასების გაწერილი მექანიზმები, თუმცა მოცემული ანალიზური ფაილიდან შესაძლებელი გახდა შეფასების მექანიზმზე წარმოდგენის შექმნა.

წარმოდგენილი საანალიზო მასალიდან ნათლად ჩანს, რომ დაწესებულება მიზანმიმართულად ახორციელებს სწავლის შედეგების ანალიზს, რისთვისაც აქვთ კონკრეტული სამოქმედო მექანიზმები. დაკვირვების ქვეშ მყოფი შერჩეული სასწავლო კურსებიდან ფიქსირდება სავალდებულო დარგობრივი სასწავლო კურსები, თუმცა ამავდროულად შემოთავაზებულია არჩევითი მოდულების ჯგუფებიც, ცალკეული მიზნების საპირწონედ. არჩევითი მოდულების ჯგუფებიდან, როგორცაა სურსათის ტექნოლოგიები, სურსათის უვნებლობა და ხარისხი, კვების ორგანიზაციის ზოგადი კომპეტენციები სავალდებულოა გარკვეული რაოდენობის კრედიტების დაგროვება.

წარმოდგენილ გრაფიკულ მატრიცაში მოცემულია 2022 წლის მონიტორინგის შედეგები, სადაც ფაქტობრივად სასწავლო კურსები განეკუთვნება განვითარებისა და დაოსტატების გრადაციის სასწავლო კურსებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაანალიზებულია სავარაუდოდ არჩევითი დარგობრივი მოდულებიც. არჩევითობის პრინციპიდან და ლოგიკიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნებს არჩევითი ბლოკების შინაარსები შეთანადებულია, თუმცა ბლოკში შემავალია არჩევითი (7/7/5) სასწავლო კურსების ბლოკები, რომელთა შეფასების შედეგი არ ჩანს. სავარაუდოა, რომ არჩევითობის ლოგიკიდან გამომდინარე არ ფასდება და მატრიცაში იმდენადაა დაფიქსირებული, რამდენადაც შინაარსობრივად ესადაგება კონკრეტულ მიზანს.

ანალიზიდან გამომდინარე აკადემიურ პერსონალს მიაჩნია, რომ გადასახედია ცალკეული სასწავლო კურსების შედეგები, თუმცა არ ჩანს კონკრეტული დაგეგმილი განსახორციელებელი ღონისძიება. ცალკეული სასწავლო კურსები მათი მაღალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე დაკვირვების ქვეშ ექცევა შემდგომ ეტაპზე, რაც მნიშვნელოვანია შემდგომი ანალიზისთვის, თუმცა არამკმარი ღონისძიებათა შორის.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად გადახედა წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკას და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სამი არჩევითი მოდულიდან 2-ის („სურსათის ტექნოლოგიების“ და „სურსათის უვნებლობა და ხარისხის“) დაოსტატების დონეზე წარმოდგენა, გამომდინარე მათი არჩევითი სტატუსიდან ნაკლებად გამყვანი შეიძლება იყოს

შედეგზე. ზოგიერთი სტუდენტი, შესაძლოა დაოსტატდეს ხილისა და ბოსტნეულის, რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავების ტექნოლოგიებში და ამავე მიმართულებით, უვნებლობისა და ხარისხის მიმართულებით, ზოგიერთი კი სხვა მიმართულებით. შესაბამისად, შედეგებში დაემატოს სიტყვა „ზოგიერთი“ სასურსათო პროდუქტებთან,, ან ზოგიერთ შედეგზე მოინიშნოს მოდული 1 ან მოდული 2 ან...).

ბუნდოვანია, შედეგზე *“დამოუკიდებლად წარმართავს საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური ციკლის ცალკეულ ეტაპებს”* გასვლა მხოლოდ სურსათის უვნებლობის და ხარისხის არჩევითი მოდულიდან, როცა ამ კონკრეტული მოდულის 7 საგნიდან მხოლოდ 2 საგანი გადის ამ კონკრეტულ შედეგზე (რძისა და რძის პროდუქტების უვნებლობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი“. სტუდენტმა სავალდებულო 10 კრედიტი თავისუფლად შეიძლება მოაგროვოს ამ საგნების გავლის გარეშე და შესაბამისად, რის გამოც კურსდამთავრებული აღნიშნულ შედეგზე საერთოდ ვერ გავა. სხვა დანარჩენი საგნის შედეგებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად მხოლოდ ცალკეული მახასიათებლების განსაზღვრა შეუძლია;

არსებული მოცემულობიდან გამომდინარე დასაკორექტირებელია სწავლის შედეგების რუკა და ამასთან სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგის მატრიცა სასურველია ეტაპობრივად და ვერბალური ანალიზური კომენტარებით იყოს წარმოდგენილი.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია ვიზუალურ გრაფიკულ მატრიცას ცალკეული ანალიზური ნაწილის შემდგომ დაერთოს ვერბალური განმარტებითი ნაწილი;

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამა „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის- EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება #49 (17/18) შესაბამისად, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების (აკადემიური და პროფესიული) შექმნასა და განვითარებას.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს: მათ შორის:

- ძირითადი (major) პროგრამა - 180 კრედიტი (8 სემესტრი). მათ შორის:
  - საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 23 კრედიტი;
  - საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი;
  - ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები - 57 კრედიტი;
  - არჩევითი კურსები - 40 კრედიტი.

დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი, (6 სემესტრი).

პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) აგებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად და ითვალისწინებს სვლას მარტივიდან კომპლექსურისაკენ; გაცნობითი ხასიათისა და საბაზისო კურსებს მოსდევს სპეციალიზაციის კურსები. პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის სწავლის შედეგებზე გასვლას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2019-2020 სასწავლო წელს VI, VII, VIII სემესტრებში კურსების არჩევითობის თანაბარი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამაში განხორცილედა შემდეგი ცვლილებები:

- არჩევითი კურსები: „ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების ტექნოლოგია“, „ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი“ მე-6 სემესტრიდან გადავიდა მე-8 სემესტრში.

- არჩევითი კურსი: „რძისა და რძის პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი“ მე-7 სემესტრიდან გადავიდა მე-8 სემესტრში.
- არჩევითი კურსი: „კვების კონცეფციები“ მე-8 სემესტრიდან მე-6 სემესტრში.
- საგნები „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ და „დარგის პროცესები დამოწყობილობები“ (გაყოფილი 2 საგნად: „დარგის პროცესები“ და „დარგის მოწყობილობები“) გადატანილია სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსების ბლოკში.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 2);
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს, ამასთან უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მქონე პირის მომზადებას ფართო ცოდნითა და დარგობრივი კომპეტენციებით, რომელიც ორიენტირებული იქნება პრაქტიკულ საქმიანობასა და სწავლის გაგრძელებაზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე.

სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და



დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი და სხვა.

აღსანიშნავია გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, საგანში „ბიოლოგია“ - სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში გვხვდება რუსულენოვანი წიგნი, თუმცა რუსული ენა არ არის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. რეკომენდებულია ლიტერატურის ჩანაცვლება ისეთი ლიტერატურით, რომლის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემა მიაღწიოს სასწავლო კურსით დასახულ შედეგებს.

სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ გადასახედია საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად. არასწორადაა დათვლილი საკონტაქტო საათების რაოდენობა, სილაბუსში მოცემულია, რომ სულ საათების რაოდენობა არის 125 საათი, კრედიტი კი, შესაბამისად, 5 ECTS, თუმცა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშობისთვის განკუთვნილი საათების ჯამი 175 საათს შეადგენს. ასევე, სილაბუსის მიხედვით, საკონტაქტო საათები არის 100 სთ, თუმცა კალენდარული გეგმის მიხედვით საკონტაქტო საათი გამოდის 116 სთ, შუალედური გამოცდის და „დასკვნითი გამოცდის“ საათების გამოკლებით, ვინაიდან აღნიშნული საკონტაქტო საათების რაოდენობა არ არის მითითებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინა ექსპერტების რჩევით, საგნები „ელექტროტექნიკა“ და „გამოყენებითი მექანიკა“ უნდა გადასულიყო არჩევით ბლოკში, ექსპერტების რეკომენდაციაში ვკითხულობთ *“საგნები „გამოყენებითი მექანიკა“ და „ელექტროტექნიკა“ გადატანილ იქნას არჩევითი საგნების ბლოკში, ხოლო მათ ნაცვლად, გამოთავისუფლებული კრედიტები დაეთმოს ძირითადი სპეციალობის უფრო გაღრმავებულად შესწავლას“.*

„გამოყენებული მექანიკა“ სასწავლო გეგმაში მართლაც გადატანილია არჩევით ბლოკში, ხოლო საგანი „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ კვლავ რჩება. თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული საგანი სპეციალობის ძირითად საგნებშია გადატანილი, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია განსხვავებული იყო და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საგნის შინაარსი არ შეესაბამებოდა სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრის კომპეტენციებს. ექსპერტთა ჯგუფმა შესაძარებლად დამატებით მოითხოვა აღნიშნული საგნების სილაბუსები. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით პროგრამის დეტალური სფერო გახდა 0721 - სურსათის გადამამუშავება, რომელსაც მიეკუთვნება, როგორც წარმოება და გადამამუშავება, ასევე ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, აღნიშნული საგანი შინაარსობრივი ნაწილიდან გამომდინარე, მაინც ვერ ჩაითვლება სპეციალობის სავალდებულო კურსად. ის შინაარსობრივად მიმართულების ზოგადი განათლების საგანს უფრო შეესაბამება, ვიდრე სპეციალობის სასწავლო კურსს.

საგანი „დარგის პროცესები და მოწყობილობები“ გაიყო 2 საგნად: *„დარგის პროცესები“ და „დარგის მოწყობილობები“ და გადატანილია სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში.* წინა ექსპერტების შეფასებაში ვკითხულობთ *„კვების მრეწველობის პროცესები და მოწყობილობები“ გამოყენებული ლიტერატურა მოძველებულია, უკანასკნელ საგანში კი ძირითადად რუსული ლიტერატურაა გამოყენებული.* ასევე, რჩევის სახით, უნდა დაზუსტებულიყო საკითხები, თუმცა ახალ სილაბუსშიც ანალოგიური თანმიმდევრობითაა მოცემული, დაზუსტების გარეშე.

უკანასკნელ საგანში კი ძირითადად რუსული ლიტერატურა გამოყენებული. აქვე ვკითხულობთ

11	ლექცია	ადგიორზია, ფერმენტაცია, პასტერიზაცია და სტერილიზაცია.	1	[10.1,10.2,10.4],[10.6] 53-56
	პრაქტიკული	ადგიორზია, ძირითადი დამოკიდებულებები და საანგარიშო ფორმულები.	2	[10.7]გვ.64-70

ეს სამი საკითხი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული საკითხებია და მათი ერთ ლექციად გაერთიანება არასწორია. იგივე ითქმის მე-13 ლექციის თემატიკაზე:

13	ლექცია	კრისტალიზაცია და ხმნადობა. პროცესების კონტრაქ. წმენდის, დეზინფექციისა და რეგენერაციის გამოყენებული ნივთიერებები.	1	[10.1,10.2,10.4,10.6] [11.6]გვ.245-249
	პრაქტიკული	მემბრანების რეგენერაციის და მემბრანული აპარატების დეზინფექციის ამოცანები	2	[11.4]გვ.113-118

არ ჩანს, რომ ამ საგნებში ამოცანების ამოხსნა ხდება პრაქტიკულადაა.

აკრედიტაციის ექსპერტების რჩევა იყო „*უცხოურენოვანი (ინგლისური) ლიტერატურის შეთავაზება სასწავლო კურსებში*“; სილაბუსების გაცნობის შედეგად, ჩანს რომ სილაბუსებში კვლავ ნაკლებადაა გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია უცვლელი დარჩება. ინგლისურენოვანი ლიტერატურის და სამეცნიერო სტატიების შეთავაზება, ასევე ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპეციალობის არჩევითი კურსის ზოგიერთი საგნის სემესტრულ გეგმაში არ არის გაწერილი სალექციო თუ ლაბორატორიული აქტივობის თემა და გრაფები ცარიელია დატოვებული.

კერძოდ, საგანში „*მარცვლის გადამუშავების პროდუქტების ტექნოლოგია*“ 2, 4, 6, 10, 12, 14, 16 კვირებში ცარიელია ლექციისა და ლაბორატორიული მეცადინეობების გრაფები. ამავე კვირებში არ არის გაწერილი სალექციო მასალები საგანში „*ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგია*“ „*ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი*“, „*რძის გადამუშავების ტექნოლოგია*“, „*ხორცის გადამუშავების ტექნოლოგია*“ „*ხორცისა და რძის პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი*“ „*რძისა და რძის პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი*“ *საზოგადოებრივი კვების პროდუქციის უვნებლობა და ხარისხი*“ „*კვების კონცეფციები*“ და ა.შ. ფაქტობრივად ყველა სპეციალობის არჩევით კურსში მსგავსი სიტუაციაა.

საგანში „*მარცვლის გადამუშავების პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი*“, ზოგიერთ კვირაში არ არის გაწერილი ლაბორატორიული აქტივობა (ცარიელი გრაფა).

იმ შემთხვევაში, თუ წინა კვირას განვლილი მასალა მეორდება, მაშინ მიეთითოს იგივე მასალა, ან გაიყოს მასალა ისე რეალურად როგორც ტარდება. თუ არ ტარდება, მაშინ საკონტაქტო საათები, შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი, შესაძლოა საჭირო გახდეს კრედიტების ცვლილებაც.

საგანში „*საკვები პროდუქტების შენახვა და ტრანსპორტირება*“ - საინტერესო იქნებოდა თანამედროვე შენახვის მეთოდების გაცნობა, ტრანსპორტირების ტექნიკური რეგლამენტის გაცნობასთან ერთად, სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გაცნობა, ასევე საინტერესო იქნებოდა ვარგისიანობის ვადის გამოთვლის მეთოდების ახსნა. შესაძლოა კურსის განმავლობაში ეს მასალა იფარება, თუმცა სილაბუსში არ ჩანს.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად, ერთმანეთისგან გამიჯნულია ტერმინები სურსათი და ცხოველის საკვები. ცალკე მდგომი ტერმინი „საკვები“ არ არსებობს. ტერმინი „სურსათი“ ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერ გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებულ ან გადაუმუშავებელ პროდუქტს გულისხმობს. შესაბამისად, მთლიან სასწავლო კურსში/საგნებში გამოყენებული უნდა იყოს სწორი ტერმინი სურსათი და არა საკვები ან საკვები პროდუქტები. მაგალითად ტერმინი “food” გამოყენებული იყოს როგორც სურსათი ან სასურსათო პროდუქტი, feed - როგორც ცხოველის საკვები. აქედან გამომდინარე, იქ სადაც ტერმინი „საკვები“ მიემართება ადამიანის საჭმელს, გამოყენებული იყოს ტერმინი „სურსათი,“

სადაც „საკვები პროდუქტი“ მიემართება ადამიანს საჭმელ პროდუქტებს - „სასურსათო პროდუქტი“

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

